

შპს „ემ თი ეი“

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და ამ თარიღით დამთავრებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგება და
მასზე გაცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	10
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12-33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემ თი ეი“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ემ თი ეი“ (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს სტანდარტების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

კომპანია დამფუძნებლისგან სახელმწიფოსგან, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, იღებს კაპიტალური ხარჯებისათვის და სხვა და სამთო-სათხილამურო სპორტის ღონისძიებების განხორციელების მიზნით ხარჯების დაფინანსების მიზნით სახსრებს. დაფინანსებისათვის მიღებული სახსრები მიღებისთანავე აისახება მოკლევადიანი ვალდებულების სახით. ამ უკანასკნელი ვალდებულების შემცირება და თანხების ასახვა პერიოდის შემოსავლის სახით მოგება ზარალის ანგარიშგების სხვა მოგება/ზარალის მუხლში ხორციელდება, გარკვეულ შემთხვევებში, იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც მოხდება ამ სახსრების გამოყენება გადარიცხვა ან საერთოდ არ ხდება მიზნობრივი დაფინანსების ამორტიზაცია. გრძელვადიანი აქტივებისა და გრძელვადიანი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მიღებული სახსრების ამდაგვარი ასახვა არ შეესაბამება ფასს სტანდარტებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე სახის კორექტირებათა შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამფუძნებლისგან მიღებული მიზნობრივად შეზღუდული სახსრების ვალდებულებაში, პერიოდის სხვა მოგება ზარალისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი აკუმულირებული ზარალის ნაშთებში.

კომპანია ძირითად საშუალებებს ასახავს გადაფასებული ღირებულებით. კომპანიამ ბოლო გადაფასება განახორციელა 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარებულ გადაფასებასთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა თითოეული აქტივის მიხედვით გადაფასებათა შედეგის ამსახველი ინფორმაცია. შედეგად, ამ თარიღისათვის გადაფასებით გამოწვეული გაუნაწილებელი ზარალისა და გადაფასების რეზერვის ნაშთების გაანგარიშებები ჩვენთვის წარმოდგენილი ვერ იქნა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე სახის კორექტირებათა შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაფასების რეზერვისა და სხვა შესაბამის მონაცემებთან მიმართებაში

ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2025 წლის 28 აპრილს, შესაბამისად, ვერ დავესწარი კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს 2024 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო მატერიალური მარაგების რაოდენობებში სხვა ალტერნატიული აუდიტის პროცედურების მეშვეობით. დამატებით კომპანიის მარაგები ძირითადად განკუთვნილია როგორც დამხმარე მასალები და არ იყენებს მათ სარეალიზაციოდ, კომპანია ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას აფასებს მარაგების ვარგისიანობით, მაგრამ გამომდინარე იქიდან რომ კომპანიას არ განუხორციელებია სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია შედეგად კომპანიას არ ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა შესაბამისი პროცედურები მათი ფიზიკური მდგომარეობის შესაფასებლად და შემდგომში ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულების შეფასების სისწორეში. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა, იყო

თუ არა საჭირო რაიმე კორექტირება ამ აქტივებთან მიმართებით 2024, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მიღება 2024 წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლების მიერ კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულების დადგენისას გამოყენებულ დაშვებებზე და შეფასებებზე, რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებების ღირებულებამ, 2024 წელს შესაბამისად შეადგინა 12,961 ათასი ლარი. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოსცა პირობითი მოსაზრება 2025 წლის 28 მარტს.

სხვა ინფორმაცია რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, მოიცავს ინფორმაციას რომელიც შეტანილია მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არმოიცავს ფინანსურანგარიშგებასა და ჩვენ მიერმასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ასევე, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება, კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუცხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუცხლის მე-6 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიყენებულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიამე/სერთიფიცირებული აუდიტორი/პარტნიორი

შპს „მოორ ეიზისი“

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 19 ნოემბერი 2025 თბილისი, საქართველო



შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
<i>აქტივები</i>			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	3	113,643	93,956
გადახდილი გრძელვადიანი ავანსები		-	162
არამატერიალური აქტივები		45	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		113,688	94,118
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	12,281	8,436
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5	1,262	847
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	6	2,757	1,603
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	17,567	41,142
სულ მოკლევადიანი აქტივები		33,867	52,028
სულ აქტივები		147,555	146,146
<i>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</i>			
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
განთავსებული კაპიტალი		592,119	579,158
გადაფასების რეზერვი		61,254	61,254
აკუმულირებული ზარალი		(564,693)	(548,445)
სულ საკუთარი კაპიტალი		88,680	91,967
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		-	126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	126
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8	7,695	32,873
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები	9	51,180	21,180
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		58,875	54,053
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		147,555	146,146

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი

გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	113,643	93,956
გადახდილი გრძელვადიანი ავანსები		-	162
არამატერიალური აქტივები		45	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		113,688	94,118
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4	12,281	8,436
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5	1,262	847
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	6	2,757	1,603
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	17,567	41,142
სულ მოკლევადიანი აქტივები		33,867	52,028
სულ აქტივები		147,555	146,146
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		592,119	579,158
გადაფასების რეზერვი		61,254	61,254
აკუმულირებული ზარალი		(564,693)	(548,445)
სულ საკუთარი კაპიტალი		88,680	91,967
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		-	126
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	126
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8	7,695	32,873
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები	9	51,180	21,180
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		58,875	54,053
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		147,555	146,146

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი



გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი



შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავლები:			
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	24,674	15,730
იჯარიდან მიღებული შემოსავალი		-	115
საოპერაციო ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(20,710)	(15,705)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(3,691)	(4,841)
გამოყენებული მარაგების ღირებულება		(935)	(239)
სხვა საერთო ხარჯები	11	(23,924)	(21,060)
საპროცენტო შემოსავალი		2,744	9,478
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი(ზარალი)	12	364	(1,828)
სხვა მოგება	13	5,304	93,354
სხვა ხარჯები	14	(74)	(82,619)
მიმდინარე წლის ზარალი		(16,248)	(7,615)
სხვა სრული შემოსავლი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(16,248)	(7,615)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი

გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი


შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავლები:			
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	24,674	15,730
იჯარიდან მიღებული შემოსავალი		-	115
საოპერაციო ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(20,710)	(15,705)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(3,691)	(4,841)
გამოყენებული მარაგების ღირებულება		(935)	(239)
სხვა საერთო ხარჯები	11	(23,924)	(21,060)
საპროცენტო შემოსავალი		2,744	9,478
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი(ზარალი)	12	364	(1,828)
სხვა მოგება	13	5,304	93,354
სხვა ხარჯები	14	(74)	(82,619)
მიმდინარე წლის ზარალი		(16,248)	(7,615)
სხვა სრული შემოსავლი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		(16,248)	(7,615)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი



გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი



შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

		2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		28,858	18,370
ბიუჯეტიდან დაბრუნებული დღგ		3,011	21,382
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები		(38,782)	(29,171)
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული გადასახადები		(16,369)	(15,702)
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე		(23,282)	(5,121)
მიღებული პროცენტები		2,753	9,475
წმინდა ფულის შემოსვლა/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		(20,529)	4,354
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(38,348)	(94,317)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(45)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		114	4
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(38,279)	(94,313)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები და სხვა დაფინანსება	9	35,226	2,000
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		35,226	2,000
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		(23,582)	(87,959)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	12	7	(180)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	41,142	129,281
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს		17,567	41,142

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი

გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

		2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		28,858	18,370
ბიუჯეტიდან დაბრუნებული დღგ		3,011	21,382
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები		(38,782)	(29,171)
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული გადასახადები		(16,369)	(15,702)
ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე		(23,282)	(5,121)
მიღებული პროცენტები		2,753	9,475
წმინდა ფულის შემოსვლა/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		(20,529)	4,354
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	3	(38,348)	(94,317)
არამატერიალური აქტივის შეძენა		(45)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		114	4
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(38,279)	(94,313)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები და სხვა დაფინანსება	9	35,226	2,000
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან		35,226	2,000
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		(23,582)	(87,959)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	12	7	(180)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	7	41,142	129,281
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს		17,567	41,142

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი



გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი



შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	579,158	(540,855)	61,279	99,582
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება არაფულადი ფორმით	-	-	-	-
გასული აქტივების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიკაცია	-	25	(25)	-
წლის სრული შემოსავალი	-	(7,615)	-	(7,615)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	579,158	(548,445)	61,254	91,967
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	12,961	-	-	12,961
წლის სრული შემოსავალი	-	(16,248)	-	(16,248)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	592,119	(564,693)	61,254	88,680

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი

გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	579,158	(540,855)	61,279	99,582
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	-	-	-	-
კაპიტალის შემცირება არაფულადი ფორმით	-	-	-	-
გასული აქტივების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიკაცია	-	25	(25)	-
წლის სრული შემოსავალი	-	(7,615)	-	(7,615)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	579,158	(548,445)	61,254	91,967
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	12,961	-	-	12,961
წლის სრული შემოსავალი	-	(16,248)	-	(16,248)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	592,119	(564,693)	61,254	88,680

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და
 ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 19 ნოემბერს

ირაკლი ბურჭულაძე, დირექტორი



გიორგი მინდიაშვილი, საფინანსო სამსახურის უფროსი



განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ემ თი ეი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 215096367) (შემდგომში ტექსტში კომპანია) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1999 წლის 12 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: საბურთალოს რაიონი, კოსტავას 1 N70, III სართული, ლიტერი „ა“, თბილისი, საქართველო. წარდგენილი საანგარიშო პერიოდებში კომპანიის წილის ერთად - ერთი მესაკუთრეა სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც წარმოდგენილია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახით. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს მის სარეგისტრაციო მისამართზე. 2021 წლის ივნისში კომპანიის სახელი შეიცვალა. კომპანიას ადრე ერქვა შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ და მისი სახელი შეიცვალა და დაერქვა შპს „ემ თი ეი“.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს საქართველოში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტების - გუდაურის, ბაკურიანის, გოდერძის, ჰაწვალის და თეთნულდის მოვლა/განვითარება და ამ კურორტებზე მის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურით ოპერირება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

2.2.1 კომპანიამ დანერგა 2024 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, თუმცა მათ ძალაში შესვლას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია

2.2.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული მენეჯმენტს წინასწარ არ დაუწერგავს და არც მათი გავლენა არის დანერგილი

2.3 შემოსავლის აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება ინდივიდუალური ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდვილისა მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.5 წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

**შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.7 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.8 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვენამდე.

2.9 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-2.29 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-6 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.10 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.11 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.14 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად განისაზღვრება თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები ასახულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებულ ღირებულებას რომელიც შეფასების თარიღისათვის წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვეთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვეთა. შეფასება რეგულარულად ტარდება იმის გადასამოწმებლად, რომ გადაფასებული ქონების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან. კომპანიის ქონება ზოლოს შეფასდა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული და ჩართულია გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვეთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც საჭიროების შემთხვევაში აკლდება გაუფასურების რეზერვი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აქტივები გადაიტანება საოფისე ან სხვა შენობებში მათი საბალანსო ღირებულებით. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება, სანამ აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არ იქნება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

2022 წლის 31 დეკემბრის თარიღით ჩატარებული გადაფასების შემდეგ კომპანია იყენებს შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადებს:

	სასარგებლო მომსახურების ვადების ზღვრები
შენობა ნაგებობები	5-80
ტრანსპორტი და სპეციალური დანადგარები და ტექნიკა	3-35, 53
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	3-15

2.15 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის კომპანია, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.16 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემცირების დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.17 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.18 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება თვითღირებულებით, მინუს გაუფასურება. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილი ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.19 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.20 განთავსებული კაპიტალი.

სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, მიუხედავად იმისა, საზოგადოებას მიღებული აქვს თუ არა საზღაური. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული კაპიტალი შეესაბამება აქვს.

2.21 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.22 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.23 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2.24 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.25 იჯარა

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარის მიმართ გამოიყენოს ფასს -16 იჯარები გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

2.26 სახელმწიფოსაგან მიღებული მიზნობრივი სახსრები

მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის მიღებული სახსრები აისახება პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშგებაში სხვა მოგება/ზარალის მუხლში. გრძელვადიანი აქტივების შესყიდვისა და გრძელვადიანი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მიღებული სახსრები თავდაპირველად მიღებისთანავე აისახება ვალდებულების სახით. ამ სახსრებიდან შესაბამისი თანხები აისახება პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშგებაში სხვა მოგება/ზარალის მუხლში იმ საანგარიშო პერიოდში როდესაც მოხდება ამ სახსრების შესაბამისი მიზნობრიობის დაცვით გადარიცხვა.

2.27 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები (მათ შორის საბაგიროები)	ტრანსპორტი და სპეციალუ რი დანადგარ ები და ტექნიკა	კომპიუტერე ბი, ავეჯი და სხვა	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
გადაფასებული ღირებულება					
2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	63,212	18,833	416	0	82,461
მატება	71,783	3,711	1,915	27,483	104,892
რეკლასიფიცირება	6,959	20,208	-	(27,167)	(0)
გასვლა	-	(24)	-	(4)	(28)
გადაფასების ეფექტი	(68,780)	(20,685)	-	(312)	(89,777)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	73,174	22,043	2,331	(0)	97,548
მატება	14,352	5,190	-	4,057	23,600
რეკლასიფიკაცია	2,078	-	-	(2,078)	-
გასვლა	-	(273)	-	-	(273)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	89,609	26,960	2,331	1,980	120,875
ცვეთა					
2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი წლის	(1,549)	(3,024)	(268)	-	(4,841)
გადაფასების ეფექტი	693	556	-	-	1,249
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(856)	(2,468)	(268)	-	(3,592)
ცვეთა	(1,000)	(2,342)	(345)	-	(3,687)
გასულის ცვეთა	-	47	-	-	48
გადაფასების ეფექტი	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,856)	(4,763)	(613)	-	(7,232)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	63,212	18,833	416	-	82,461
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	72,318	19,575	2,063	-	93,956
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	84,431	22,197	1,718	5,297	113,643

უკანასკნელი გადაფასება განხორციელებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროფესიონალური შემფასებლის მიერ. ჯგუფების მიხედვით შეფასებისას გამოყენებული ფასს 13 შესაბამისად ამოსავალი მონაცემების დეტალები მოცემულია ქვევით:

- მიწა და შენობა-ნაგებობების ჯგუფის ნაწილი, ტრანსპორტი, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა ჯგუფი - მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები (აქტიური ბაზრის კორექტირებული დაკვირვებადი ფასები); დაკვირვებადი საბაზრო ფასები დაკორექტირებული აქტივების სპეციფიკური თვისების გათვალისწინებით ფართი, წლოვანება, ადგილმდებარეობა და ა.შ..
- მიწა და შენობა-ნაგებობების ნაწილი, სპეციალური ტექნიკა და დანადგარები - მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები. არაემპირიული მონაცემები, რომლებიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე. ამ სახის აქტივების (გარდა მიწისა) ჩათვლილი იყო სპეციალიზირებულ აქტივებად და მათი შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული იყო ეგრეთ წოდებული „ამორტიზირებული ჩანაცვლების თვითღირებულების მეთოდი“; შეფასების პროცესი მოიცავდა ამ აქტივების ეკონომიური ცვეთის (გაუფასურების ტესტირებას) გაანგარიშებას. ეკონომიური ცვეთის გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანიის შემოსავლები, ყველა ფულის მაგენერირებელი ერთეულების მიხედვით, ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზირებული აქტივების ეკონომიურ ცვეთამდე შეფასებული ღირებულების ამოღებადობას, შედეგად, ყველა ასეთი აქტივი საბოლოოდ შეფასდა მათი სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე. მიწის შემთხვევაში გამოყენებულია სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული ფასები.
- პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან. ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ორი უკანასკნელი სრული გადაფასების შედეგები:

სამართლიანი ღირებულების შეფასება 2022 წლის 31 დეკემბრისათვის			
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	(2 დონის ამოსავალი მონაცემები)	(3 დონის ამოსავალი მონაცემები)
მიწა და შენობა ნაგებობები (მათ შორის საბაგიროები)	-	42,489	20,723
ტრანსპორტი და სპეციალური დანადგარები და ტექნიკა	-	18,515	317
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	-	414	3
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	-
სულ	-	61,418	21,043

სამართლიანი ღირებულების შეფასება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის			
	(1 დონის ამოსავალი მონაცემები)	(2 დონის ამოსავალი მონაცემები)	(3 დონის ამოსავალი მონაცემები)
მიწა და შენობა ნაგებობები (მათ შორის საბაგიროები)	-	84,552	607
ტრანსპორტი და სპეციალური დანადგარები და ტექნიკა	-	20,929	115
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	-	397	13
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	-	78
სულ	-	105,878	813

გადაფასებული ქონება რომ ასახულიყო ისტორიული ღირებულების საფუძველზე, მათი წმინდა საბალანსო ღირებულება იქნებოდა ქვემოთ მოცემული ცხრილში ასახული თანხების ოდენობით:

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მიწა და შენობა ნაგებობები ი (მათ შორის საბაგროები)	ტრანსპორტი და სპეციალურ ი დანადგარები ი და ტექნიკა	კომპიუტერე ბი, ავეჯი და სხვა	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	457,992	32,316	385	7,830	498,523
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	522,076	46,444	855	131,676	701,051

ვინაიდან კომპანიის შემოსავლები, ყველა ფულის მაგენერირებელი ერთეულების მიხედვით გასული პერიოდების განმავლობაში, ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზებული აქტივების ამოღებადობას, 2023 წლის განმავლობაში შესყიდული აქტივების გაუფასურების ტესტირების მიზნით კომპანიამ დაიქირავე პროფესიონალური საშემფასებლო კომპანია და მისი მეშვეობით განახორციელა 2023 წელს დამატებული ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტირება ბასს - 36 აქტივების გაუფასურების შესაბამისად. როგორც მოსალოდნელი იყო კომპანიის შემოსავლები, ყველა ფულის მაგენერირებელი ერთეულების მიხედვით, ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზებული აქტივების ამოღებადობას, შედეგად, ყველა 2023 წლის განმავლობაში დამატებული ასეთი აქტივი საბოლოოდ საბოლოოდ ჩამოფასდა მათი სალიკვიდაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ტესტირების მიზნებისათვის კომპანია განხილულია, როგორც ოთხი ფულადი საშუალებების მაგენერირებელი ერთეული. გაუფასურების ტესტირებისას გამოყენებული ძირითადი მაჩვენებლებს წარმოადგენდა: დისკონტირების განაკვეთი (16.66 %), ტერმინალური ღირებულების ზრდის მაჩვენებელი (2.1 %) და დაგეგმილი EBITDA მოგება დაბეგრამდე, ცვეთამდე და პროცენტამდე. არ არსებობს ფულის მაგენერირებელი ერთეულების მიხედვით ამ სამივე მაჩვენებლის შესაძლო გონივრული სიდიდე რომელიც გაუფასურების ღირებულების ოდენობაში ცვლილებას შეიტანს, რის გამოც გაუფასურების შედეგის ამ მაჩვენებლებზე დამოკიდებული სენსიტიურობის ანალიზი არ არის წარმოდგენილი.

4. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მარაგ ნაწილები	6,385	3,920
სამშენებლო მასალები	1,741	1,335
ბილეთები და პლასტიკური ბარათები	1,293	1,124
საშეჯიბრო ინვენტარი	1,581	1,008
საწვავი	395	392
საოფისე მარაგები	239	352
სხვა მარაგები	647	305
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	12,281	8,436

5. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,850	1,171
საექვო ვალების რეზერვი	(588)	(324)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,262	847

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	324	296
ზრდა მიმდინარე პერიოდისთვის	204	28
31 დეკემბრის მიხედვით	528	324

6. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,501	909
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,106	610
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	52	-
სხვა მოთხოვნები	96	84
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	2,757	1,603

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული სალაროში	186	92
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	17,130	40,744
ფული სატრანზიტო საბანკო ანგარიშებზე	22	293
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	229	13
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17,567	41,142

8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	5,975	2,348
ძირითადი საშუალებების მომწოდებლების მიმართ დავალიანება	-	29,622
შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებული საგარანტიო თანხები	483	384
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,234	516
გადასახდელი ხელფასები	3	3
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7,695	32,873

9. სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები

კომპანია დამფუძნებლისგან სახელმწიფოსგან, რომლის უფლებამოსილებებსაც ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, იღებს სხვადასხვა სახის მიზნობრივად შეზღუდული სახსრებს. ეს სახსრები გამოიყენება ზოგადად მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის, გრძელვადიანი აქტივების შესყიდვისა და სხვა და სხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით. პერიოდულად შესაბამის ამ მომწოდებლებზე გადახდილი დღგ-ს დაბრუნება ხორციელდება კომპანიის მიერ და ამ თანხების გამოყენება ხდება კომპანიის სხვა და სხვა ხარჯებისა და აქტივების შესყიდვის დაფინანსების მიზნით. დაბრუნებული დღგ თანხებით არ ხორციელდება არც ვალდებულებისა და არც შემოსავლების კორექტირება. მიღებული სახსრები თავდაპირველად მიღებისთანავე აისახება მოკლევადიანი ვალდებულების სახით. დაფინანსებისათვის მიღებული სახსრების და მათი ხარჯვის მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

დაფინანსების ნაშთი 31.12.2023	21,180
წლის განმავლობაში მიღებული	35,000
შემოსავალში აღირარება	(5,000)
დაფინანსების ნაშთი 31.12.2024	51,180

დაფინანსების ნაშთი 31.12.2022	112,481
წლის განმავლობაში მიღებული	2,000
წლის განმავლობაში დაფინანსების ხარჯვა	(93,301)
დაფინანსების ნაშთი 31.12.2023	21,180

10. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან 2024 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან	24,674
სხვა შემოსავალი	-
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	24,674
გრძელვადიანი	-
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	24,393
დროთა განმავლობაში	281
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	24,674

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
შემოსავალი ბილეთების რეალიზაციიდან	15,653
სხვა შემოსავალი	77
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	15,730
გრძელვადიანი	-
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	15,730
დროთა განმავლობაში	-
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	15,730

11. სხვა საერთო ხარჯები

	2024	2023
2023-2024 ზამთრის სეზონის ჩემპიონატების და ზოგადი რეკლამის ხარჯები	5,905	6,127
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	3,280	3,617
ინფრასტრუქტურის რემონტისა და შეკეთების ხარჯები	5,655	3,554
საწვავის ხარჯი	1,290	1,345
იჯარის ხარჯი	1,384	1,344
საგადასახადო ხარჯი	1,278	1,102
დაცვის მომსახურება	1,009	1,041
საკონსულტაციო და სატრენინგო მომსახურება	554	640
სამედიცინო დახმარების ხარჯები	-	184
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-
საექვო ვალების და გადახდილი ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და გაუფასურება	273	65
სხვა ხარჯები	3,296	2,041
სულ სხვა საერთო ხარჯები	23,924	21,060

12. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (ზარალი)

	2024	2023
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (ზარალი)	364	(1,828)
სულ (ნეტო)	364	(1,828)

13. სხვა შემოსავალი

	2024	2023
სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსების გამოყენება	5,304	93,301
პირგასამტეხლო და ჯარიმები სახელშეკრულებო პირობების დარღვევაზე	-	53
სულ სხვა შემოსავალი	5,304	93,354

14. სხვა ხარჯები

	2024	2023
გრძელვადიანი აქტივების გადაფასებისა და გრძელვადიანი ავანსების გაუფასურების ეფექტი	-	(82,330)
სხვა (ზარალი)/მოგება	(74)	(289)
სულ სხვა მოგება	(74)	(82,619)

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები.

მნიშვნელოვანი სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არის მოპასუხე სამართლებრივ დავაში, რომელიც მესამე პირებმა წამოიწიეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, ჯამში 14,803 ათასი ლარის ოდენობით. ანგარიშგების თარიღისა და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის მდგომარეობით, აღნიშნულ დავებზე კომპანიამ წარადგინა შესაგებლები, თუმცა სასამართლო სხდომა ჯერ არ დანიშნულა.

საქმის შედეგის პროგნოზირება ამ ეტაპზე შეუძლებელია, და ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ არის აღიარებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ეკონომიკური სარგებლის შესაძლო გადინება არ არის სავარაუდო.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

16. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე მისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,262	847
საბანკო ნაშთები და დეპოზიტები	17,381	41,050
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	18,643	41,897

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მცირე რაოდენობის დებიტორების გამო მოსაღდნოლი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების და მათან დაკავშირებული რეზერვების უმნიშვნელო თანხების გამო დამკველების შესახებ ინფორმაცია არ არის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებაში.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	ევროებში (ეკვივალენტი ლარში)	დოლარი (ეკვივალენტი ლარში)	შვეიცარული ფრანკი (ეკვივალენტი ლარში)	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	17,338	1	-	228	17,567
დებიტორული დავალიანება	1,262	-	-	-	1,262
სულ ფინანსური აქტივები	18,595	1	-	228	18,824

ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	(5,580)	(1,702)	-	415	(7,697)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,580)	(1,702)	-	(415)	(7,697)
ნეტო პოზიცია	13,015	(1,701)	-	(187)	11,127

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	ევროში (ეკვივალენტი ლარში)	დოლარი (ეკვივალენტი ლარში)	შვეიცარული ფრანკი (ეკვივალენტი ლარში)	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	41,130	1	11	-	41,142
დებიტორული დავალიანება	847	-	-	-	847
სულ ფინანსური აქტივები	41,977	1	11	-	41,989
ფინანსური ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება	3,194	28,771	10	430	32,405
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,194	28,771	10	430	32,405
ნეტო პოზიცია	38,783	(28,770)	1	(430)	9,584

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2024 წ.		31 დეკემბერი 2023 წ.	
	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება ზარალზე	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
ევროს გამყარება 20%-ით	(340)		(5,754)	-
ევროს დასუსტება 20%-ით	340		5,754	-
დოლარის გამყარება 20%-ით			-	-
დოლარის დასუსტება 20%-ით			-	-
შვეიცარული ფრანკი გამყარება 20%-ით	(37)		(86)	-
შვეიცარული ფრანკი დასუსტება 20%-ით	37		86	-

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის 2024 და 2023 წლის ბოლოს არ გააჩნია სესხები, ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ლიკვიდურობის რისკი - უმნიშვნელო ვალდებულების გარდა, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს მოთხოვნამდე და 1 წლამდე ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას კომპანია უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით და სახელმწიფოსგან მიღებული სხვადასხვა სახის დაფინანსებით.

17. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა ცვლილება შეიტანოს განთავსებული კაპიტალში, მოითხოვოს და მიიღოს მიზნობრივი დაფინანსება და გრანტები. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

**შპს „ემ თი ეი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში	
აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,262
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	17,381
სულ ფინანსური აქტივები	18,643

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში	
აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	847
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	41,050
სულ ფინანსური აქტივები	41,897

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორცაა არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორცაა დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შედავას და არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

დაკავშირებული მხარეები	2024	2023
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები (წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი)	164	154

2024 და 2023 წლის განმავლობაში დამფუძნებელთან მომხდარი მნიშვნელოვანი ოპერაციები ასახულია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

21. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში ფინანსური კომპანიის კაპიტალური ხარჯები დაფინანსების მიზნით სახელმწიფოსაგან მიღებული აქვს დაფინანსება 17,500 ათასი ლარი.

ბალანსის შედგენის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 147 ათასი ლარით.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შ.პ.ს „ემ თი ეი-ს“ მმართველობითი ანგარიში

სარჩევი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა.....	2
2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	2
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	2
3.1. ინფრასტრუქტურული პროექტები 2015-2024წწ.	
3.2. საქართველოს მთის კურორტების გეგმაზომიერი განვითარება	
3.3. ოთხსეზონური კურორტების განვითარება	
3.4. სპორტული ღონისძიებები	
3.5. მარკეტინგული პროექტები	
3.6. სამომავლო გეგმები	
4. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	4
4.1. თანამშრომელთა განათლება და პროფესიული განვითარება	
4.2. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დაარსება და საქმიანობა	
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	12
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები და განმარტებები.....	12
7. სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ.....	13
7.1. საკრედიტო რისკი	
7.2. ლიკვიდურობის რისკი	
7.3. საბაზრო რისკი	
8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.....	14
9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.....	14

1. კომპანიის საქმიანობა

შპს „ემ თი ეი“ (ყოფილი შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“) მართავს და ავითარებს სამთო-სათხილამურო არეალებს საქართველოს მთის კურორტებზე: გუდაურში, ბაკურიანში, მესტიასა და გოდერძიზე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურისა და ტრასების მოწყობა-მართვა, საზვავე და სამაშველო სამსახურის მობილიზება და სასრიალო არეალებზე უსაფრთხოების და კომფორტის შექმნა. ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების ჩატარება ზამთრის სპორტის დისციპლინებში, მულტისეზონური აქტივობების უზრუნველყოფა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურისტული ნაკადების ზრდის მიზნით და სათავგადასავლო ტურიზმის პოპულარიზაცია მარკეტინგული აქტივობებისა და კამპანიების საშუალებით, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

2. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ემ თი ეი“ (ს/კ 215096367; შემდგომში „კომპანია“) 1999 წლის 12 ოქტომბერს დარეგისტრირდა. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 70. 2013 წლის 30 აპრილიდან, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.“

2019 წლის 3 იანვარს, შპს „ემ თი ეი-ს“ შეერწყა შვილობილი კომპანია, შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“, რომლის 100%-იანი წილი კომპანიას 2016 წლის დეკემბერში გადაეცა მართვაში. მისი თავდაპირველი მფლობელი იყო საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“ (ს/კ 236049904) დარეგისტრირდა საქართველოში 2000 წლის 14 სექტემბერს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა კურორტ თეთნულდზე სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება.

შპს „ემ თი ეი-ს“ ჰყავს მეკავშირე საწარმო, ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“, რომლის 30% წილის მფლობელია.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

სამთო ტურიზმის მდგრადი განვითარება პასუხობს საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს, რომელიც განსაზღვრულია სამთავრობო პროგრამაში 2021 - 2024 - „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“

3.1. ინფრასტრუქტურული პროექტები 2015-2024 წლებში:

მთის კურორტების განვითარების მიზნით, 2015-24 წლებში აშენდა და დამონტაჟდა შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:

ბაკურიანში:

- 2 საბაგირო გზა კოხტაზე, 3 საბაგირო გზა მიტარბიზე; ხოლო ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, დიდველზე საერთაშორისო სტანდარტების 3 საბაგირო კომპლექსი აშენდა. პროექტ “ბაკურიანის ახალი სიცოცხლის ფარგლებში” დადგმული უახლესი საბაგიროები ინოვაციურია მთელ რეგიონში, - მათი გამტარუნარიანობა, ჯამურად, საათში 5400 მგზავრია, რომლის გაზრდაც 7200 მგზავრამდე არის შესაძლებელი.
- ამავე პროექტის ფარგლებში, დიდველისა და მიტარბის არეალებზე, წყლის ორი ხელოვნური რეზერვუარი აშენდა. ტბების ჯამური მოცულობა - 307 000მ³-ია. (დიდველი - 201 433 მ³, კოხტა-მიტარბი - 105 948მ³); დიდველისა და მიტარბის წყლის რეზერვუარები ხელოვნური გათოვლიანების სისტემას უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფს
- მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, ბაკურიანში, დიდველის, კოხტასა და მიტარბის სათხილამურო არეალებზე, ხელოვნური გათოვლიანების სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდა. 29-კილომეტრიანი სათხილამურო გზის გათოვლიანების პროექტი, მთის კურორტზე სეზონის დროულად დაწყებისა და გახანგრძლივების მიზნებს ემსახურება. 2024 წლისთვის, ხელოვნური გათოვლიანება უზრუნველყოფილია ბაკურიანში სასრიალო ტრასების 95%-ზე. გათოვლიანების სისტემა ასევე უზრუნველყოფს საერთაშორისო რანგის შეჯიბრებების შესაბამისი სტანდარტით, ხელოვნურ საფარზე ჩატარებას.
- 2024 წელს, ბაკურიანში გაიხსნა ახალი, 3კმ სიგრძის სასრიალო ტრასა, რითიც ბაკურიანის სასრიალო ტრასების ჯამური სიგრძე 33კმ-დან 36კმ-მდე გაიზარდა.
- 2015 წლიდან დაინერგა ღამის სრიალის პრაქტიკა, რისთვისაც მოეწყო განათების სისტემა შესაბამის ტრასებზე. ზამთრის სეზონზე, დიდველის არეალი ყოველდღიურად არის ღია ღამის სრიალისთვის

გუდაურში:

- მოეწყო 5 საბაგირო გზა, კობი-გუდაურის სათხილამურო გზა, კობში ზვავსაწინააღმდეგო სისტემა და გათოვლიანების სისტემები.
- გუდაურში მოეწყო წყლის ხელოვნური რეზერვუარი (100 000მ³), რომლითაც უზრუნველყოფილია ამ ეტაპზე კურორტის 10% სასრიალო ტრასების ხელოვნური გათოვლიანება. კომპანია მუდმივად მუშაობს გუდაურში ხელოვნური გათოვლიანების სისტემების განვითარებაზე.
- 2015 წლიდან დაინერგა ღამის სრიალის პრაქტიკა, რისთვისაც მოეწყო განათების სისტემა შესაბამის ტრასაზე.
- 2023-24 წლის ზამთრის სასრიალო სეზონზე, გუდაურში დამატებით 2 ახალი საბაგირო კომპლექსი აშენდა. 6-ადგილიანი, ღია სავარძლის ტიპის (ბაბლი) საბაგიროების გამტარუნარიანობა საათში 1800-2400 მგზავრია, რაც ვიზიტორთა მზარდ ნაკადს და საერთაშორისო ღონისძიებების მაღალი სტანდარტით ჩატარებას ემსახურება. აღნიშნული პროექტით, გუდაურის 70კმ-იანი სასრიალო ტრასების საერთო სიგრძე 76კმ-მდე გაიზარდა.

- 2024 წელს, გუდაურში კიდევ ერთი ახალი, 4კმ სიგრძის სასრიალო ტრასა მოეწყო. შედეგად, გუდაურის სასრიალო ტრასების ჯამური სიგრძე 80კმ გახდა.

მესტიაში:

- 2015-2021 წლებში აშენდა: მესტია-ჰაწვალის დამაკავშირებელი საბაგირო გზა, თეთნულდის საბაგირო კომპლექსი, ჰაწვალის ახალი საბაგირო გზა; ენერგოეფექტური საზოგადოებრივი სივრცეები, რომელიც მოიხმარს მზის ენერგიას და აღჭურვილია სკამებით, მაგიდებით და ელ.მოწყობილობების დასამუხტებით.
- 2022 წელს, ზურულდის მთაზე, ამიერკავკასიაში ყველაზე სწრაფი საბაგირო კომპლექსის მშენებლობა განხორციელდა. ჰაწვალისა და ზურულდის დამაკავშირებელი, 10-ადგილიანი გონდოლას ტიპის საბაგიროს სიგრძე - 1 421 მეტრია, გამტარუნარიანობა საათში - 1 800 მგზავრი.

3.2. საქართველოს მთის კურორტების გეგმაზომიერი განვითარება

საქართველოს მთის კურორტების განვითარება ხორციელდება დეტალური გეგმის, მასტერპლანის შესაბამისად. განაშენიანების რეგულირების გეგმა არის კურორტის განვითარების სრული და დეტალური კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს მთის კურორტების სწორ და თანმიმდევრულ განვითარებას. იგი მიიღება საპროექტო ტერიტორიის დეტალური შესწავლის შედეგად და მოიცავს არქიტექტურულ და კვლევით დოკუმენტაციებს, მიწის გამოყენების, ინფრასტრუქტურის განვითარების, მომსახურებისა და საცხოვრებელი ობიექტების განლაგებისა და სხვა საკითხებს.

გუდაური:

- კობი-გუდაურის საკურორტო ზონის განვითარების მიზნით, 2016 წელს მომზადდა მასტერპლანი მსოფლიოში წამყვანი კანადური სამთო-სათხილამურო კურორტების დამგეგმავი კომპანიის Ecosign Mountain Resort Planners Ltd მიერ. მასტერპლანით განისაზღვრა კობი-გუდაურის განვითარების მომავალი, რომელიც ხელს უწყობს კურორტის რაციონალურ და სწორ განვითარებას, საბაგიროებისა და სათხილამურო გზების მართებულ დაგეგმარებას, ინვესტიციების მოზიდვას. 2016 წლის კობი-გუდაურის მასტერპლანის საკვლევ არეალში პირველად შევიდა გუდაურის მთლიანი სარეკრეაციო სივრცე და ტერიტორია სარეკრეაციო სივრცესა და გუდაურს შორის, ჯვრის უღელტეხილიდან კობი-გუდაურამდე. მასტერპლანის მეშვეობით განხორციელდა კობი-გუდაურში მიწათსარგებლობის გეგმის რეგულირება, მთის ობიექტების, მათ შორის, სასტუმროების, აპარტოტელების, კაფე-რესტორნების, მომსახურების ცენტრების დიზაინის და მათი განლაგების პროფესიონალური განსაზღვრა, ზაფხულის და ზამთრის აქტივობების მრავალმხრივი განვითარება.

ბაკურიანი:

- კოხტა-მიტარბის მასტერპლანი შემუშავდა 2016 წელს, საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობით (PPP) მთის დამგეგმავი ფრანგული კომპანიების “ჟოდესა” და “დეზ ალპის” მიერ.

მასტერპლანის მიხედვით შეიქმნა ოთხსეზონური კურორტის განვითარების დეტალური კონცეფცია, რაც გულისხმობს ახალი მიტარბის, ზედა მიტარბისა და კოხტას სისტემურ განვითარებას, “Ski-in Ski-out”-ის ტიპის ახალი სოფლისა და ალპური ტიპის მინიქალაქის შექმნას. მასტერპლანის საფუძველზე განხორციელდა მიტარბის 3 საბაგირო გზის მშენებლობა, აშენდა კოხტა-მიტარბის დამაკავშირებელი პირველი შუალედური საბაგირო სადგური, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სარეკრეაციო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებს. მასტერპლანის ფარგლებში შეირჩა საუკეთესო ლოკაციები პარკინგების, სასტუმროების, აპარტოტელების, შალეების, კვებისა და გასართობი ობიექტების ინფრასტრუქტურის განთავსებისთვის, შეიქმნა სათხილამურო ზონების მშენებლობის გეგმარებითი პროექტი ხელოვნური გათოვლიანების სისტემის ჩათვლით. მოხდა საკურორტო ზონასთან მისასვლელი გზების მდგომარეობის შესწავლა, შეიქმნა კურორტთან ადაპტირებული სატრანსპორტო განვითარების სტრატეგია და სხვა.

მესტია:

- კომპანია მონაწილეობდა 2016 წელს თეთნულდი-მულახის მასტერპლანის შემუშავების პროცესში.

3.3. ოთხსეზონური კურორტების განვითარება

ოთხსეზონური კურორტების განვითარების მიზნით, ზამთრის ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, კურორტებზე ეწყობა ზაფხულის აქტივობებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. 2015 წლიდან, დაიწყო ზაფხულის სეზონის განმავლობაში საბაგიროების ფუნქციონირება და სამთო-სათხილამურო კურორტებზე ზაფხულის აქტივობების პოპულარიზაცია. მათ შორის საფეხმავლო და საცხენოსნო ტურების, ველომარშრუტების, ფრინველებზე დაკვირვების მიმართულებებით. ამ მიზნით:

- 2016 წელს, ბაკურიანში დამონტაჟდა ოთხსეზონური ატრაქციონი ტობოგანი, ანუ მთის ციგა
- 2016 წლიდან, ბაკურიანში, დიდველის მთაზე, 2 683 მეტრის სიმაღლეზე, ოთხსეზონური ატრაქციონი პანორამა-ფუნიკულიორი ფუნქციონირებს
- გუდაურსა და ბაკურიანში მოეწყო მთის ველობილიკები, რომლებიც ამჟამად არ ფუნქციონირებს, თუმცა იგეგმება მათი განახლება
- მოეწყო საბავშვო-გასართობი პარკი ბაკურიანში, რომელიც ასევე საჭიროებს განახლებას

3.4. სპორტული ღონისძიებები

➤ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები

საქართველოს მთის კურორტებზე, FIS-ის ეგიდით დაგეგმილი შეჯიბრებების ჩატარების ისტორია 2017 წლის აპრილში დაიწყო, როცა ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის, საქართველომ ოფიციალური განაცხადი გააკეთა. 2018 წელს კი, 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ კურორტად ბაკურიანი დასახელდა.

ხოლო მომდევნო 4 წლის განმავლობაში, 2019-2022 წლებში, აღებული ვალდებულების შესაბამისად, საქართველომ (ბაკურიანსა და გუდაურში) სატესტო ღონისძიებებს, FIS-ის მსოფლიო და ევროპის თასის ეტაპებს, ფრისტაილის დისციპლინებში უმასპინძლა:

- 2019 წლის მარტი, გუდაური - ევროპის თასის ეტაპები სკი და სნოუბორდ კროსში
- 2020 წლის თებერვალი, გუდაური - ევროპის თასის ეტაპები სლალომსა და გიგანტურ სლალომში სნოუბორდით.
- 2021 წლის თებერვალი, ბაკურიანი - მსოფლიო თასი სკი კროსში, ამავე წლის მარტი - მსოფლიო თასი სნოუბორდ კროსში.
- 2022 წლის თებერვალი, ბაკურიანი - ევროპის თასი პარალელურ და გიგანტურ სლალომში სნოუბორდით, მარტი - მსოფლიო თასი ფრისკი და სნოუბორდ სლოუფსტაილში.

2023 წლის 18 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით, **ბაკურიანმა ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა.** მაღალი სტანდარტით ჩატარებულ ღონისძიებას 175 მლნ. მაყურებელი ადევნებდა თვალს, რამაც ხელი შეუწყო ბაკურიანის, როგორც ზამთრის სპორტის დანიშნულების ადგილის მონიშვნას მსოფლიოს სპორტულ რუკაზე.

- 2023 წლიდან, ბაკურიანი და გუდაური საერთაშორისო სათხილამურო და სნოუბორდის ფედერაციის (FIS) საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების ყოველწლიურ კალენდარში მუდმივ მასპინძლებად მოინიშნენ.
- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წელს, სპეციალურად (FIS) მსოფლიო თასების ციფრული კომუნიკაციისთვის, შეიქმნა ბრენდბუქი, რომელსაც “ემ.თი.ეი” იყენებს საქართველოს კურორტებზე ჩატარებული მსოფლიო თასების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და მარკეტინგული კამპანიებისთვის. ბრენდბუქი აერთიანებს ფრისტაილის, სნოუბორდისა და სკი კროსის დისციპლინების ვიზუალურ იდენტობას. ბრენდბუქის ფარგლებში შექმნილია როგორც ბაკურიანისა და გუდაურის ღონისძიებების ცალკეული ქვე-ბრენდები, ასევე მათი გამაერთიანებელი ბრენდი. ღონისძიებების ფარგლებში, აღნიშნული ვიზუალური იდენტობის გამოყენებით ხდება კურორტების პოზიციონირება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.
- 2023 წლის დეკემბერში, ბაკურიანში ფრისტაილის მსოფლიო თასი, მოგულისა და ღუაღ მოგულის დისციპლინებში ჩატარდა.
- 2024 წლის თებერვალში, ბაკურიანი და გუდაური 2 საერთაშორისო სპორტული შეჯიბრების - მსოფლიო თასი სკი კროსში (ბაკურიანი) და მსოფლიო თასი სნოუბორდში (გუდაური) მასპინძელია.
- 2024 წელს, გუდაურში, ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი სნოუბორდში გაიმართა. შეჯიბრება FIS-ის ეგიდით ჩატარებულ ახალგაზრდულ შეჯიბრებებს შორის ერთ-ერთ მაღალი რანგის ტურნირია სამთო დისციპლინებში.
- ამასთან, 2023 და 2024 წლებში, საქართველოს მთის კურორტებმა 20-მდე ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებას უმასპინძლა, რომელთაც ყოველწლიური ხასიათი აქვს.
- 2024 წელს, ისტორიაში პირველად, მესტიაში, სამთო-სათხილამურო დისციპლინების ყველაზე პრესტიჟული სპორტული ასპარეზობა, Freeride World Tour Georgia Pro ჩატარდა. ყოველწლიურად, ღონისძიების მასპინძელი, მსოფლიოს 6 ექსკლუზიური ადგილია, რომელთა შორის ერთ-ერთი საქართველო გახდა. შეჯიბრების ფარგლებში, მესტიას 50 მსოფლიოს საუკეთესო რაიდერი ესტუმრა

საასპარეზოდ. FWT Georgia Pro ლაივ რეჟიმში გაშუქდა, ჯამურად, მისი საკომუნიკაციო დაფარვა 300 მილიონამდე აუდიტორიას მოიცავს.

➤ **ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები**

- აღსანიშნავია, რომ გარდა საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისა, საქართველოს მთის კურორტები მუდმივად მასპინძლობს ადგილობრივ ღონისძიებებს, რომლის სპორტული ნაწილის ორგანიზებაზე მპს “ემ თი ეი” ზრუნავს. კურორტებზე, როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის სეზონებზე, ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სახის ფესტივალი, სპორტული თუ კულტურული ღონისძიება.
- ზამთრის სეზონზე, 20-ზე მეტი ადგილობრივი სპორტული ტურნირი იმართება “ემ თი ეი-ს” მართვაში არსებულ ოთხივე კურორტზე, რომელთაც ყოველწლიური სახე აქვთ და კურორტების ტრადიციად იქცა. ასეთი ადგილობრივი სპორტული ღონისძიებებია: დიმას თასი, თეზოს თასი, ლადოს თასი, კიკილოს თასი, ზურულდის თასი და სხვ.

3.5. მარკეტინგული პროექტები

სამთო-სათხილამურო კურორტების ცნობადობის ზრდისა და განვითარებისთვის, კომპანიის მიერ 2014-2016 წლებში შემუშავდა კურორტების სტრატეგიული კვლევა, ბრენდინგი და ლოგო, როგორც კომპანიისთვის, ისევე კურორტებისთვის. ხოლო 2021 წლის თებერვალში, რებრენდინგის შედეგად, შეიცვალა კომპანიის სახელწოდება და ვიზუალური იდენტობა. ამჟამად, კომპანია „ემ.თი.ეი. – M.T.A.-ს“ სახელით ოპერირებს საქართველოს 4 სამთო-სათხილამურო კურორტზე: გუდაურში, ბაკურიანში, მესტიასა და გოდერძიზე. რებრენდინგის შედეგად შეიცვალა კომპანიის ბრენდი და ვიზუალური იდენტობა, კურორტების ბრენდინგის განახლება კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაშია.

ზამთრის ტურისტული პროდუქტის განვითარების მიზნით, კომპანიის მიერ გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- 2015 წელს დაინერგა ერთიანი აბონემენტების სისტემა და ჩატვირთვის ონლაინ სისტემა. ერთიანი აბონემენტების სისტემის, SKIDATA-ს საშუალებით, ერთი ბარათით ყველა კურორტზე საბაგიროებით სარგებლობა გახდა შესაძლებელი.
- 2015-2016 წლებში ამოქმედდა ყველა კურორტის ოფიციალური ფეისბუკ გვერდი, ასევე შეიქმნა საქართველოს მთის კურორტების ბრენდის ქვეშ გაერთიანებული ინსტაგრამისა და ტვიტერის გვერდები.
- 2016 წელს კურორტ გოდერძიზე ჩატარდა საინვესტიციო ფორუმი.
- 2016-2017 წლებში ფრანგულ კომპანია “ჟეოდთან” ერთად შეიქმნა ოთხივე კურორტის, როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის სიტუაციური რუკები, რომელთა გადახედვა წლიდან წლამდე მიმდინარეობს.
- 2021 წელს განხორციელებული რებრენდინგის შემდეგ, კომპანია “ემ.თი.ეი-ს” სახელით ოპერირებს, ასევე, შეიქმნა ბრენდის ახალი ვიზუალური იდენტობა და ბრენდბუქი.
- 2015 წლიდან დღემდე, კომპანია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამთო და ტურისტულ გამოფენებში, როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნებში:

- 2023 წელს, კომპანია საკუთარი სტენდით იყო წარმოდგენილი ჩინეთში, ქალაქ შანხაიში გამართულ “ჩინეთის მე-6 საერთაშორისო იმპორტის გამოფენაზე”.
- 2024 წელს, შპს „ემ.თი.ეი“ საპრეზენტაციო სტენდით იყო წარმოდგენილი The London Snow Show-ზე, რომელიც საერთაშორისო გამოფენაა და დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, ყოველწლიურად იმართება. ღონისძიების ფარგლებში, შედგა პანელური დისკუსია, სადაც დამსწრე აუდიტორიას, კომპანიის წარმომადგენლებმა წარუდგინეს ქვეყნის სამთო კურორტების შესახებ ინფორმაცია. ასევე, გამოფენის ონლაინ პლატფორმაზე ჩაეშვა მარკეტინგული კამპანია სტატიების და ბანერების სახით.
- კომპანია მუდმივად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სპორტულ ჟურნალებთან, საინფორმაციო და სარეკლამო შინაარსის სტატიების განთავსების მიზნით. მათ შორისაა: www.snowmagazine.com, www.onthesnow.com, www.skiresort.at, www.snow-forecast.com აღნიშნული ვებ-გვერდების საშუალებით აქტიურად ვრცელდება ყველა სამთო კურორტის შესახებ.
- საერთაშორისო მედიადაფარვის უზრუნველსაყოფად, ტურიზმის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ფირიარდის მსოფლიო ტურის (FWT) ფარგლებში, ყოველწლიურად ვმასპინძლობთ საერთაშორისო ჟურნალისტებსა და ბლოგერებს.
- გაყიდვების წახალისების მიზნით, 2024 წლის ზამთრის სეზონიდან, კომპანია აქტიურად თანამშრომლობს გადახდის სისტემებთან, რომელთაგან ხდება სეზონის ექსკლუზიური პარტნიორის შერჩევა. პროექტის მიზანია ძვირადღირებული, მაღალი კატეგორიის, მრავალდღიანი აბონემენტების გაყიდვის ხელშეწყობა. შედეგად, ონლაინ გაყიდვების წილი მთლიან გაყიდვებში გაორმაგებულია და 2024 წლის მონაცემებით 4%-ს შეადგენს. ექსკლუზიური პარტნიორობის ფარგლებში, პარტნიორის მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტი კი ყოველწლიურად იზრდება და 2024 წლისთვის 360 000 ლარს გაუტოლდა.
- ონლაინ გაყიდვების პლატფორმებთან თანამშრომლობა ასევე ითვალისწინებს მათი მხრიდან მარკეტინგულ და საკომუნიკაციო აქტივობებს, რაც მიმართულია კურორტის პროდუქტების პრომოუშენისთვის.
- 2024 წელს, განხორციელდა ზაფხულის მარკეტინგული კამპანია, რომელიც ოთხივე კურორტის საზაფხულო აქტივობების პოპულარიზაციას და კურორტებზე ტურისტული ნაკადების წახალისებას ემსახურებოდა.
- 2024 წლის ზაფხულისა და ზამთრის სეზონებზე დაიგეგმა საიმიჯო ფოტოგადაღება ოთხივე კურორტზე - გუდაურში, ბაკურიანში, მესტიასა და გოდერძიზე. შედეგად, განახლდა კომპანიის ფოტოარქივი, რომელიც მარკეტინგული კამპანიების განხორციელებისას აქტიურად გამოიყენება.
- ზამთრისა და ზაფხულის სეზონებზე, კურორტების პროდუქტების პოპულარიზების, ასევე, კურორტის ყოველდღიურობისა და სიახლეების მიზნობრივ აუდიტორიებთან დროულად და ეფექტიანად მისატანად, დამატებით ვთანამშრომლებთ ადგილობრივ კონტენტ კრეატორებთან. მათი ჩართულობით, უზრუნველვყოფთ, რომ რეალურ დროში, ადგილიდან იქნეს მოწოდებული ის ინფორმაცია თუ კურორტის ცხოვრების ყოველდღიური ამბები, რომელიც დამატებით წახალისებს ტურისტული ნაკადების ზრდას.
- 2024 წელს შეიქმნა “ემ თი ეი-ს” საიმიჯო ბროშურა, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენებზე, ასევე, პოტენციურ პარტნიორებთან კომპანიის პრეზენტაციისთვის.
- 2024 წელს კომპანიამ დაიწყო საფასო პოლიტიკის განახლებაზე მუშაობა, რომელიც საბოლოო სახით, ძალაში შევა მომდევნო წლებიდან. პირველ ეტაპზე, ჩატარდა სასრიალო აბონემენტების

ფასების ძირეული ანალიზი, რის საფუძველზეც განხორციელდა მხოლოდ თვლადი ასვლების (1,2,3 ასვლა) ფასების კორექტირება (ღირებულების ზრდა 25%-50%-ით). შედეგად, არსებობს ვარაუდი, რომ მოთხოვნა გაიზარდა უფრო ხანგრძლივ პროდუქტებსა (1-7 დღე) და სეზონურ აბონემენტზე, რაც აისახება კომპანიის ჯამური შემოსავლების მოცულობაზე.

3.6. სუბიექტის სამომავლო გეგმები

2025 წლიდან, კურორტების განვითარებისა და მზარდი ტურისტული ნაკადების მომზადების მიზნით, იგეგმება შემდეგი პროექტების განხორციელება:

- გუდაურში თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის პროექტირება და მშენებლობა
- გუდაურში, საბაგირო "საძელეს" დემონტაჟი, სრული კაპიტალური რემონტი და მისი მონტაჟი სნოუპარკის საბაგიროს ადგილას
- გუდაურში, სნოუპარკის საბაგიროს დემონტაჟი და ჯართად ქცევა
- გუდაურის გათოვლიანების სისტემის პროექტირება, მონტაჟი და დაკავშირება
- ახალი გუდაურის და სეთურების დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობა-მონტაჟი და საპარკინგე ინფრასტრუქტურის მოწყობა.
- გუდაურში, საბაგირო "საძელეს" ადგილას, გონდოლას ტიპის საბაგიროს მშენებლობა
- გუდაურში, ოთხსეზონური ატრაქციონის - ტობოგანის, ე.წ მთის ციგის მონტაჟი
- ბაკურიანში, საბაგირო "ტატრას" დემონტაჟი და ახალი საბაგიროთი ჩანაცვლება
- ბაკურიანში, დიდველის არეალის ტატრასთან დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობა
- ბაკურიანში, დიდველის შენობის დაპროექტება და მშენებლობა
- ბაკურიანში ტობოგანის მშენებლობა
- მესტიამი, მულახი-თეთნულდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის პროექტირება-მშენებლობა
- მესტიამი, ჰაწვალის-მესტიის დამაკავშირებელი ახალი სასრიალო ტრასის მოწყობა
- მესტიამი, ჰაწვალის სასრიალო არეალზე, ტობოგანის მშენებლობა

4. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

4.1. თანამშრომელთა განათლება და პროფესიული განვითარება

კომპანია თანამშრომელთა განათლებისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით სრულად პასუხობს **სამთავრობო პროგრამის მიზნებს**. ყოველწლიურად ხდება თანამშრომელთა გადამზადება და მათი პროფესიული ზრდისთვის ხელის შეწყობა. სამთო-სათხილამურო კურორტებზე მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ღონის გაძლიერების მიზნით, კომპანიის მენეჯმენტის მიერ გატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

შპს „ემ.თი.ეი“ მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა განვითარებაზე, კომპეტენციისა და მოტივაციის ამაღლებაზე, რაც მოიცავს სხვადასხვა ტრენინგებსა და ინიციატივებს.

- 2020-2022 წლებში თბილისსა და სამთო-სათხილამურო კურორტებზე ჩატარდა 24 ტრენინგი და ჯამურად, გადამზადდა შპს „ემ თი ეი-ს“ 210 თანამშრომელი.
- 2023 წელს, თბილისსა და სამთო-სათხილამურო კურორტებზე, ჩატარდა 11 ტრენინგი და ჯამურად, გადამზადდა 175 თანამშრომელი, 2024 წელს კი ჩატარდა 8 ტრენინგი და გადამზადდა 223 თანამშრომელი
- 2024 წელს ჩატარებული ტრენინგები:

- TechnoAlpin Academy - Education Training ხელოვნური გათვლიანების სისტემის მართვა-მოვლა-პატრონობა (ბაკურიანი და გუდაური);
- TechnoAlpin Academy - Customer Training ხელოვნური გათვლიანების სისტემის მართვა-მოვლა-პატრონობა (ბაკურიანი და გუდაური);
- მომსახურების სტანდარტები (გუდაური, ბაკურიანი, მესტია, გოდერძი);
- პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ტრენინგი (გუდაური, ბაკურიანი, გოდერძი, მესტია);
- ელექტრიკოსების სერტიფიცირება (გუდაური, ბაკურიანი, მესტია, გოდერძი);
- ტრენინგი საზვავე მიმართულებაში PIDA-ს პროცედურების ცოდნისა და გამოყენების შესახებ (გუდაური);
- მომსახურების სტანდარტები;
- GSTC Sustainable Tourism Course - თბილისი

4.2. სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის დაარსება და საქმიანობა

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა 2016 წლის აგვისტოში დაარსდა, საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობით, კერძოდ, საქართველოს სამთო გიდების ასოციაციის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ემ თი ეი-ს“ მიერ.

სკოლის შექმნის მიზანია, საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა გადამზადება და სერტიფიცირება შემდეგ პროფესიებში: საფეხმავლო და სამთო გამყოლობა, სათხილამურო ინსტრუქტორობა, სასიმაღლო სამუშაოების ტექნიკა და საზვავე უსაფრთხოება. სკოლის ბაზაზე, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, მათ შორის შვეიცარიელ და გერმანელ ექსპერტებთან ერთად შეიქმნა ახალი პროფესიული და სასერტიფიკატო პროგრამები.

2018 წლის იანვარში, შამონიში, სათავგადასავლო ტურიზმის სკოლასა (ATS) და ალპინიზმისა და სათხილამურო სპორტის ეროვნულ სკოლას (ENSA) შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. ფრანგული სკოლა საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს ქართველ სტუდენტებს, კერძოდ სამთო-სათხილამურო, სამაშველო პროფესიონალების მომზადების კუთხით და დაეხმარება სკოლას სასწავლო პროგრამების ევროპულ ნორმებთან დაახლოებაში.

2018 წლის იანვარში გაიხსნა სკოლის საწვრთნელი ცენტრი, რომელიც გუდაურში, ზღვის დონიდან 2700 მეტრზე მდებარეობს. 2018 წელს სკოლის ბაზაზე, საქართველოში პირველად მოხდა საფეხმავლო გამყოლებისა და სათხილამურო ინსტრუქტორების სერტიფიცირება. ზამთრის სამთო-სათხილამურო სეზონის განმავლობაში, საერთაშორისო ექსპერტების გადამზადებული სათხილამურო ინსტრუქტორების მიერ კურორტებზე გოდერძი, გუდაური და ბაკურიანი ჩატარდა 1 დონის თხილამურის ინსტრუქტორის სწავლება ადგილობრივებისთვის.

სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის ფუნქციონირება კავკასიის რეგიონში არის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისთვის მათალანაზღაურებადი, გრძელვადიანი დასაქმებისა და უსაფრთხო სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პერსპექტივის შექმნის წინაპირობა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

2018 წელს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ტომას ბახსა და საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს შორის, საქართველოში 2030 წელს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის შემდეგ, 2018-2019 წლებში საქართველოს ეწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორი ექსპერტი, ოლიმპიურ თამაშებში უფროსი მრჩეველი ჟილბერტ ფელი და ოლიმპიური სოლიდარობის ღირეპტორის მოადგილე პამელა ვაიპონდი, საქართველოს მთის კურორტების პოტენციალის შესწავლისა და ზამთრის სპორტის ინფრასტრუქტურის ადგილზე გაცნობის მიზნით.

შპს „ემ თი ეი-ს“ წარმომადგენლებმა, ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებს, საქართველოს მთის კურორტებზე - გუდაურში, ბაკურიანსა და ყაზბეგში უმასპინძლეს და ზამთრის სპორტის განვითარების მიმართულებით განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნეს.

კომპანიისა და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ მსოფლიოში ცნობილი გერმანელი მოთხილამურეები: კრისტიან ნოიროიტერი - მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული სლალომში და როზი მიტერმაიერი - ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული.

ამ ვიზიტის მთავარი მიზანი იყო ორი სამთო-სათხილამურო კურორტის ბაკურიანისა და გარმიშ-პარტენკირხენის (სამთო კურორტი ბავარიაში, გერმანია) დამეგობრება; ასევე, ერთობლივი პროექტების განხორციელება საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების გერმანიაში პოპულარიზაციის, გერმანული გამოცდილების გაზიარების, ბაკურიანში ზამთრის სპორტის განვითარებისა და ნიორიოტერის სახელობის სათხილამურო სკოლის დაარსებისთვის.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები და ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული მაჩვენებლების დამატებითი განმარტებები

2021 წელს, COVID-19-ით გამოწვეული შეზრუდვების გამო, კომპანიამ ოპერირება დაიწყო დაგვიანებით, კერძოდ, 8 მარტს. აღნიშნულის გამო, შემოსავლები იყო მინიმალური და ვერ აკმაყოფილებდა კომპანიის მოთხოვნებს. 2023 წლიდან, კომპანიის შემოსავლების ზრდის დინამიკა დადებითია.

ზამთრის სეზონი	შემოსავლი	% ზრდა/შემცირება	ვიზიტორები	% ზრდა/შემცირება
2016-2017	8 978 131	65%	412 711	37%
2017-2018	12 376 563	38%	525 009	27%

2018-2019	16 420 930	33%	603 253	15%
2019-2020	13 010 748	-21%	483 483	-20%
2020-2021	2 513 359	-81%	134 183	-72%
2021-2022	15 628 653	522%	562 663	319%
2022-2023	14 113 207	-10%	384 221	-32%
2023-2024	25 237 647	79%	663 553	73%

COVID-19-ის გავლენა თვალსაჩინოა კომპანიის შემოსავლებსა და ვიზიტორთა რაოდენობაზე, 2021-2022 წლის სეზონის მონაცემები დადებითი პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა.

კომპანია თავად არ არის ჩართული სოციალურ პროექტებში, მაგრამ გააჩნია კონკრეტული მიდგომები, რათა გახადოს სასრიალო აბონემენტები გარკვეული ფენებისათვის ხელმისაწვდომი. დაწესებულია შეღავათები სტუდენტებისა და საპენსიო ასაკის მოსრიალეებისათვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

2024 წლის პერიოდში სხვა საერთო ხარჯების ზრდა, როგორც წესი, გამოწვეულია ადმინისტრაციული, საოფისე, საკომუნიკაციო, საწვავის, დაზღვევის და სხვა ხარჯების ზრდით.

შემოსავლების ზრდა გამოიწვია ტურისტების გაზრდილმა რაოდენობამ და გარკვეული ბილეთების ფასების კორექტირებამ.

7. სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს

7.1. საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

7.2. ლიკვიდურობის რისკი: ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

7.3. საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს: - საპროცენტო რისკი - სავალუტო რისკი. ჯგუფის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. ჯგუფის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა. საკრედიტო რისკი: კომპანია პოლიტიკის მიხედვით ურთიერთობს გადახდისუნარიან კრედიტორებთან რის შედეგადაც ამცირებს კონტრაქტორის დეფოლტის რისკს რაც თავის მხრივ ამცირებს ფინანსური ზარალის მოხდენის ალბათობას. ვინაიდან კომპანია თანამშრომლობს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებთან საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ჯგუფი ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ გამოსცემს საკუთარ აქციებს.

9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ჯგუფის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, მენეჯმენტმა მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც ჯგუფის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს. მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე.

დირექტორი

/ი.ბურჭულაძე/

19 ნოემბერი 2025

7.1. საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

7.2. ლიკვიდურობის რისკი: ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

7.3. საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს: - საპროცენტო რისკი - სავალუტო რისკი. ჯგუფის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. ჯგუფის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა. საკრედიტო რისკი: კომპანია პოლიტიკის მიხედვით ურთიერთობს გადახდისუნარიან კრედიტორებთან რის შედეგადაც ამცირებს კონტრაქტორის დეფოლტის რისკს რაც თავის მხრივ ამცირებს ფინანსური ზარალის მოხდენის ალბათობას. ვინაიდან კომპანია თანამშრომლობს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებთან საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ჯგუფი ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ გამოსცემს საკუთარ აქციებს.

9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ჯგუფის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, მენეჯმენტმა მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც ჯგუფის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს. მენეჯმენტის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე.

დირექტორი

/ი.ბურჭულაძე/

19 ნოემბერი 2025